# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№2454 2017 წლის 22 ნოემბერი ქ. თბილისი

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიასათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ**

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ: №404485188) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 21 500 (ოცდაერთი ათას ხუთასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეწიეთში არსებული 5369.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №28.24.25.001) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეწიეთში არსებული 1742.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №28.24.25.005).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
შემოსვლის № 107486/01
"27" 11 2017 წ.
3+18 ფურცელი

ბ) საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება.

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ №404485188) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 26 500 (ოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარად, აღნაგობის უფლებით გადასცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეწიეთში არსებული ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება.

4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 26 500 (ოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარის გადახდა ყოველწლიურად;

ბ) ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების გამოყენება საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიზნით;

გ) შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ“ (ს/ნ: №404485188) საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადაში მიმართოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ამავე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის გამოუყენებელი მიწის ნაკვეთ(ებ)ზე შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ: №404485188) ამ განკარგულების მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე წარმოშობილი სარგებლობის უფლების შეწყვეტის მოთხოვნით.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ | 28.24.25.010 | არასასოფლო-სამეურნეო | 2883.00 კვ.მ. |
| 2. | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ | 28.24.25.013 | არასასოფლო-სამეურნეო | 7351.00 კვ.მ. |
| 3. | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეწიეთი | 28.24.25.003 | არასასოფლო-სამეურნეო | 19049.00 კვ.მ. |
| 4. | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ | 28.24.25.011 | არასასოფლო-სამეურნეო | 109747.00 კვ.მ. |
| 5. | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ | 28.24.25.012 | არასასოფლო-სამეურნეო | 37120.00 კვ.მ. |